ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
მესამე სექცია

გადაწყვეტილება დასაშვებობასთან დაკავშირებით

განაცხადი N42117/98

საქმე ”ჯეიმს ბოლანი, ანა ბოლანი და სტეფანი ბოლანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), 2000 წლის 4 მაისს შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ჟ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი
ბატონი ვ. ფურმანი
ბატონი პ.კურისი
ქალბატონი ფ. ტულკენსი
ბატონი კ. იუნგვირტი
სერ ნიკოლას ბრატზა
ბატონი კ. ტრაია, მოსამართლეები,

და ასევე ქალბატონი ს. დოლე, სექციის რეგისტრატორი,

მხეველობაში იღებას რა 1998 წლის 9 მარტს ევროპის კომისიაში წარმოდგენილ განაცხადს, რომელიც რეგისტრირებულა 1998 წლის 9 ივლისს,

მხედველობაში იღებს რა კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად, განაცხადის განხილვის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს,

მხეველობაში იღებს რა რესპოდენტი მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას და განმცხადბლის საპასუხო არგუმენტებს,

სასამართლო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ფაქტები

პირველი და მეორე მომჩივნები არიან ბრიტანეთის მოქალაქეები. პირველი დაიბადა 1947 წელს, მეორე - 1948 წელს. ცხოვრობენ ალექსანდრიასა და შოტლანდიაში. მესამე მომჩივანი არის ბრიტანეთის მოქალაქე, დაბადებული 1994 წელს და ცხოვრობს იმავე მისამართზე, სადაც პირველი და მეორე მომჩივანი. პირველი მომჩივანი არის ანჟელა ბოლანის მამინაცვალი, მეორე მომჩივანი არის მისი დედა და მესამე მომჩივანი მისი ქალიშვილია.

აპლიკანტები სასამართლოს წინაშე წარმოდგენილნი არიან კარნს ბრაუნის მიერ. იგი საადვოკატო პრაქტიკას ეწევა დამბარტონში, შოტლანდიაში.

ა. საქმის გარემოებები

მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ანჟელა ბოლანი დაიბადა 1977 წლის 5 მარტს. ის გარდაიცვალა 19 წლის ასაკში 1996 წლის 26 აპრილს. სიკვდილის მიზეზი იყო ასფიქსია, რაც გამოწვია თვითმკვლელობამ. ამ დროს, ანჟელა ბოლანი იმყოფებოდა კორნტონ ვალის ციხეში („კორნტონ ვალი“) და ელოდებოდა განაჩენს ქურდობისათვის.

1994 წლის 2 სექტემბერს, როდესაც ანჟელა ბოლანს შეეძინა ქალიშვილი იგი იყო ჰეროინზე დამოკიდებული. ვინაიდან, რომ მას არ შეეძლო თავის შვილზე ზრუნვა, მესამე აპლიკანტი ცხოვრობდა ბებიასთან და . პაპასთან. 16 წლამდე იგი ცხოვრობდა პირველ და მეორე მომჩივანთან, რის შემდეგაც საცხოვრებლად გადავიდა მეგობრებთან. მას ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქირით გადასცა სახლი პირველი და მეორე მომჩივნის საცხოვრებლის მახლობლად. ანჟელა ბოლანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამივე აპლიკანტთან.

ანჟელა ბოლანი რამდენჯერმე იყო მსჯავრდებული მაღაზიის გაქურდვისა და წესრიგის დარღვევისათვის. მან გარკვეული ხანი გაატარა სარეაბილიტაციო კლინიკებში. იგი იმყოფებოდა პატიმრობაში კორნტონ ვალის ციხეში სამ ეპიზოდთან დაკავშირებით 1996 წლის 15 აპრილამდე – 1995 წლის 9 თებერვლიდან 24 თებერვლამდე, 1996 წლის 5 თებერვლიდან 6 თებერვლამდე და 1996 წლის 27 თებერვლიდან 19 მარტამდე. 1995 წლის დეკემბერში, იგი გადაიყვანეს სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელიც დატოვა სამი კვრის შემდეგ, ვიდრე დასრულდებოდა სარეაბილიტაციო პროგრამა. 1996 წლის მარტში იგი კვლავ მიიღეს კლინიკაში, სადაც 1996 წლის 9 აპრილამდე დარჩა. მან კვლავ ადრე დატოვა კლინიკა.

1996 წლის 12 აპრილს ანჟელა ბოლანი დააკავეს ქურდობისა და ვანდალიზმის ბრალდებით. 1996 წლის 15 აპრილს, გლაზგოს რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას, მან აღიარა დანაშაული და დატოვეს პატიმრობაში, რათა პრობაციის აგენტის მიერ ჩატარებულიყო საანგარიშო მოკვლევა. . 1996 წლის 3 მაისის დაინიშნა სასამართლო პროცესი, რომელზეც უნდა გამოეტანათ განაჩენი. ის პატიმრობაში დარჩა კორნტონ ვალის ციხის იმ განყოფილებაში, რომელიც განკუთვნილია წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისთვის.

კორნტონში მისვლისთანავე ანჟელა ბოლანი შეამოწმა ექთანმა. მიღებიდან ერთი დღის შემდეგ იგი ნახა ექიმმა და კვლავ ჩაუტარა გამოკვლევა. თვითმკვლელობის პრევენციის პოლიტიკის თანახმად, თითეულ პატიმარს ციხეში მიღებისთანავე უტარდება გამოკვლევა, სუიციდის ჩადენის ალბათობის დასადგენად.. ანჟელა ბოლანი ჩიოდა, რომ იგი იღებდა ჰეროინს და შესაბამისად, იგი მოწყვლადი იქნებოდა აბსტინენტური სიმპტომების მიმართ. მას დაენიშნა შესაბამისი მედიკამენტები. ამ პერიოდამდე ანჟელა ბოლანის მიერ თვითმკველობის ჩადენის რისკი არ დაფიქსირებულა.

1996 წლის 26 აპრილს ანჟელა ბოლანი, ჩვეულებრივ, 7:15 საათზე გააღვიძა ციხის ოფიცერმა. მას მიეცა საკნის დატოვების უფლება, ესაუზმა, ესარგებლა საპირფარეშოთი და აბაზანით. ამის შემდეგ, მას დაევალა დერეფნის დასუფთავება. ციხის ოფიცერმა უთხრა მას, რომ დერეფანი სათანადოდ

დაესუფთავებინა, რაზეც მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ იგი გადაიყვანეს საკანში. პატიმრების ფოსტის დარიგების შემდეგ ანჟელა ბოლანის სახელზე არცერთი შეტყობინება არ იყო. იმ დილით ანჟელა ბოლანი არ გამოცხადებულა ციხის ექიმთან, რათა მიეღო თავისი მედიკამენტი – დიაზეპამი, რომელიც ნარკოტის შემცვლელი წამალი იყო.

დილის 10 საათიდან, ის პატიმრები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, შეეძინათ საკვები ზედამხედველობის ქვეშ გადაიყვანეს სპეციალურ მაღაზიაში. ანჟელა ბოლანს არ ჰქონდა ფული და წესის თანახმად, იგი დატოვეს საკანში. ზოგადად, როდესაც პატიმრები გადმოყავთ სპეციალური მაღაზიიდან ისინი ექვემდებარებიან სპეციალურ ზედამხედველობას სასტუმრო ოთახში, სადაც მათ უერთდებიან დანარჩენი პატიმრები, რომლებიც საკნებიდან გამოჰყავთ უშუალოდ სადილისათვის.

დაახლოებით 11:10 საათისთვის ანჟელა ბოლანმა დაიწყო ფეხის დარტყმა თავისი საკნის კარზე. ციხის ოფიცერმა ტეილორმა მას ჰკითხა თუ რა ხდებოდა. მან უპასუხა, რომ აინტერესებდა, თუ რატომ არ შეეძლო საკნიდან გამოსვლა. ციხის ოფიცერმა ტეილორმა აუხსნა, რომ მას გამოსვლის უფლება მიეცემოდა მას შემდეგ, რაც სპეციალური მაღაზიიდან ოფიცრების სათანადო რაოდენობა დაბრუნდებოდა. ოფიცრის წასვლის შემდეგ, მან რამდენჯერმე დაარტყა ფეხი საკნის კარზე. ოფიცერი დაბრუნდა და უთხრა მას, რომ ამ ქმედების გამო იგი გარკვეული პერიოდი დარჩებოდა საკანში. ანჟელა ბოლანმა უპასუხა: „მშვენიერია“.

11:30 საათზე ციხის ოფიცერი ტეილორი შეხვდა ანჟელა ბოლანის რეგიონულ ოფიცერს და მოუყვა მისი ქმედებების შესახებ. ის წუხდა, რომ ეს არ იყო ანჟელა ბოლანის ჩვეულებრი საქციელი, მაგრამ არ მიიჩნევდა მას სერიოზულ შემთხვევად. ოფიცერი არ განიხილავდა ამ ქმედებას დისციპლინალურ დარღვევად და არ უთქვამს ანჟელა ბოლანისთვის, რომ იგი დაისჯებოდა. რეგიონული ოფიცერი წავიდა, რათა მოენახულებინა ანჟელა ბოლანის საკანი და მან ნახა, რომ ის თავის საწოლში იწვა. ოფოცერმა მას უთხრა, რომ საკანში დარჩებოდა იქამდე სანამ არ დაწყნარდებოდა, შესაძლოა, ვიდრე შუადღის სადილი არ მომზადდებოდა. ოფიცერმა უთხრა, რომ მასზე არ შეადგენდა მოხსენებას. ანჟელა ბოლანმა მხრები აიჩეჩა, ის გაბრაზებული და დაძაბული ჩანდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. რეგიონული ოფიცერი დაბრუნდა თავის ოფისში და მალევე, შუადღის შემდეგ, გამოიძახეს სხვა ქვედანაყოფში. მას არ უხსენებია ანჟელა ბოლანის არც თავის ზედამხედველთან და არც სხვა ვინმესთან. ოფიცერს ეს მხედველობიდან გამორჩა.

მოგვიანებით, 12:30 საათზე ციხის ოფიცერი ტეილორი პატიმრებს სადილის დროს ემსახურებოდა, როდესაც მან სადილის ბოლოს შენიშნა, რომ არ დაუნახავს ანჟელა ბოლანი. დაახლოებით 12:50 საათზე, ის მივიდა ანჟელა ბოლანის საკანთან გააღო კარი და იგი სარკმელზე ჩამომხრჩვალი იპოვა. ანჟელა ბოლანის გადარჩენას უშედეგოდ ცდილობდნენ. იგი გარდაცვლილად გამოცხადდა 13:24 საათზე.

ანჟელა ბოლანს, ციხეში ყოფნის დროს არასოდეს მიუღია მონაწილეობა დისციპლინარულ ინციდენტებში.

კორნტონ ვალის ციხეში, 2 წლის განმავლობაში 6 თვითმკვლელობა დაფიქსირდა და შესაბამისად, 1997 წლის იანვარში პროკურორმა ჩაატარა კვლევა

ფატალური შემთხვევების შესახებ, რომელიც გადაიდო ციხეში მომხდარი კიდევ ერთი თვითმკვლელობის გამო. კვლევა გაგრძელდა 36 დღის განმავლობაში, რის შესახებაც შერიფმა მიიღო 1997 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული გადაწყვეტილება.

შერიფმა დაადგინა, რომ ანჟელა ბოლანის სიკვდილის მიზეზი გახდა ასფიქსია, რომელიც თავის ჩამოხრჩობის შედეგი იყო. დადგინდა, რომ მან თავი მოიკლა. შერიფს არ მიუთითებია იმ წინასწარი ზომების მიღებასთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ანჟელა ბოლანის სიკვდილის თავიდან აცილება. ასევე, მას არ მიუთითებია ციხის სისტემის სხვა ნაკლოვანებების შესახებ, რომელსაც შეეძლო მისი სიკვდილის გამოწვევა. თუმცა, შერიფმა სხვადასხვა ზოგადი განსაზღვრებები გააკეთა ციხის სისტემასთან დაკავშირებით. თვითმკვლელობის პრევენციასთან დაკავშირებით შემოთავაზებული იყო პროცედურის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვანი იყო სხვა საქმეების გათვალისწინებით.

თავის განსაზღვრებებში შერიფმა აღნიშნა:

“მტკიცებულებათა ერთობლიობიდან ნათელი იყო, რომ ანჟელა ბოლანი გეგმავდა თავის მომავალს, იგი გამოხატავდა სურვილს, შეეძინა სახლი თავისთვის და თავისი შვილისათვის და არანაირი მინიშნებაც კი არ იყო იმაზე, რომ მას ჰქონდა რაიმე სურვილი ან იმპულსი თავის მოსაკლავად...

... მომჩივანთა ადვოკატმა აღნიშნა ის, რომ ანჟელა ბოლანი სიცოცხლის ბოლო დღემდეც კი არ ჩანდა ისეთ პიროვნებად, რომლისგანაც მოსალოდნელი იყო თვითმკვლელობის ჩადენა...

მტკიცებულებების გათვალიწინებით, რაც გარდაცვლილმა გააკეთა, ნათლად ჩანს, რომ ეს ქმედება არ წარმოადგენდა დისციპლინური წესის დარღვევას, რომელიც ციხის უფროსისთვის უნდა გამხდარიყო ცნობილი. თუ ეს სიმართლეა მაშინ, მომჩივანთ ადვოკატი იდავებდა, რომ მისი გარდაცვალება ოფიცრის ბრალი იყო, რომელმაც გარდაცვლილი საკანში დატოვა მაშინ, როდესაც სხვა პატიმრებს თავისუფლად ჰქონდათ ურთიერთობა ერთმანეთთან. ეს ორი ოფიცერი არ მიიჩნევდა, რომ ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებდნენ წესებიდან გამომდინარე ... მათ განაცხადეს, რომ ანჟელა ბოლანს მისცეს დრო დასამშვიდებლად. ...

პრაქტიკის თანახმად, ვინც აწყობდა სკანდალს ან აურზაურს, რაც თავის მხრივ არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ციხის უფროსისთვის ეცნობებინათ, რჩებოდა თავის საკანში ან ცოტა ხნით ათავსებდნენ საკანში, რათა დამშვიდებულიყო. ეს არ იყო რაიმე ოფიციალური კოდექსის ნაწილით გაწერილი პრაქტიკა ... ეს ცნობილი იყო ციხის მმართველისა და მისი თანაშემწისათვის. ისინი იღებდნენ ამას, როგორც ნებისმიერი ოფიცრის დისკრეციულ უფლებას, კონტროლის დროს თავიანთი მოვალეობების შესრულებისას.

ერთი მხრივ გარდაცვლილი არ ჩაკეტეს ოპერატიული მიზნებიდან გამომდინარე, მაგალითად უსაფრთხოების განგაშთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, თუ ასეთი დამშვიდება ოფიცრის მიერ გამოიყენება არეულობის ჩახშობისა და ხალხის დასამშვიდებლად, მაშინ, ჩემი აზრით, ციხის ოფიცრის მიერ მმართველის უფლებამოსილების ასეთი გამოყენება კანონიერია. ოფიცრების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულები არ იყო ნათელი. მტკიცებულებები იცვლებოდა დასამშვიდებლად ჩაკეტვის პერიოდიდან ალტერნატიული სასაჯელის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებამდე. მე მთლიანად ვეთანხმები იმას, რომ ოფიცერმა თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის შეიძლება დატოვოს პატიმარი საკანში დისციპლინალური საფუძვლების გათვალისწინებით, რათა შეინარჩუნოს წესრიგი და ა. შ. მე მიმაჩნია, რომ ციხის ოფიცერს არ აქვს უფლება, განსაზღვროს სასჯელი. ჩემი აზრით, მას არ აქვს უფლება ფარულად გამოიყენოს სასჯელი წესების უმნიშვნელო დარღვევისათვის. სხვა არის, როდესაც პატიმარს ეუბნება: „ ცოტა ხნით საკანში დაგტოვებ იმისათვის, რომ დამშვიდდე“. კიდევ უფრო სხვა შემთხვევაა, როდესაც ეუბნება პატიმარს: „იმის გამო, რომ შენ არეულობას იწვევ ... მე შენ დაგსჯი და დაგტოვებ საკანში 20 წუთის განმავლობაში“. ჩემი აზრით ციხის ოფიცერს არ აქვს უფლება მოიქცეს ისე, როგორც აღწერილია მეორე შემთხვევაში.

...გარკვეული დრო დასჭირდა იმ შედეგების განსაზღვრას, რაც დილით გარდაცვლილის მიერ მედიკამენტების მიუღებლობამ გამოიწვია. მტკიცებულების თანახმად, ეს გამოიწვევდა მცირედ, ან საერთოდ არ გამოიწვევდა ცვლილებას მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ან გონებრივი თვალსაზრისით. ...

მე არ შემიძლია განვსაზღვრო ის წინასწარი ზომები, რასაც შეეძლო თავიდან აეცილებინა მისი სიკვდილი ... მე ვერ დავაფიქსირებ სისტემაში რაიმე ნაკლოვანების არსებობას, რაც გამოიწვევდა მის სიკვდილს. მე არ ვიცი გარდაცვლილმა თავი რატომ მოიკლა. ...

1976 წლის აქტის მე-6 (1)(e) მუხლის შესაბამისად, მე შევაფასე ფატალური შემთხვევებისა და მოულოდნელი სიკვდილს შესახებ კვლევა შემდეგნაირად:

3. ანჟელა ბოლანთან დაკავშირებით პოლიციის ოფიცერს არ ჰქონდა სასჯელის გამოყენების უფლებამოსილება; მაშასადამე, მან სასჯელი არასწორად გამოიყენა“.

1999 წლის 29 აპრილს მომჩივნებმა სარჩელი შეიტანეს სტირლინგის შერიფის სასამართლოში, ისინი დავობდნენ მესამე მომჩივნის სახელით, იმ ზიანისთვის, რაც მას მიადგა დედის გარდაცვალებით, რომელიც გამოწვეული იყო შოტლანდიური ციხის სასამახურის თანამშორმლების დაუდევრობით და მათ მიერ კანონით გათალისწინებული ვალდებულების დარღვევვით. ისინი *inter alia* დავობდნენ, რომ ოფიცრებს არ ჰქონდათ ანჟელა ბოლანის საკანში ჩაკეტვის უფლება, მისი დასჯის მიზნით და 95–ე წესის თანახმად რომ ეცნობებინათ ციხის მმართველისთვისდა არ დაეტოვებინათ საკანში სადილამდე, იგი არ მოიკლავდა თავს.

მომჩივნებმა გამონაკლისის სახით ითხოვეს სამართლებრივ დახმარებაზე მიმართვის ნებართვა, რასაც სასამართლომაც დაუჭირა მხარი. ამასთან დაკავშირებით, სამეფო ადვოკატისაგან მიიღეს დასაბუთებული მოსაზრება. სამართლებრივ დახმარებაზე განმცხადებლებს უარი ეთქვათ. აღნიშნული უარის შესახებ საჩივარი არ მიიღეს. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ დაფინანსების გარეშე სარჩელთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებს ვეღარ გააგრძელებდნენ.

B. შესაბამისი შიდა სამართალი და პრაქტიკა

<u>ციხეში დისციპლინასთან დაკავშირებული ნორმები</u>

1989 წლის აქტი ციხეების შესახებ არის მთავარი წესდება, რომელიც არეგულირებს ციხეების მართვას. აქტის თანახმად, ციხეები შედის სახელმწიფო მდივნის დაქვემდებარებაში და იგი უფლებამოსილია დანიშნოს ციხის მმართველები და ოფიცრები, რათა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება. მას აქვს უფლება დაადგინოს წესები, რომლის საშუალებითაც მოხდება ციხეების რეგულაცია და პატიმრების კონტროლი.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია 1994 წლის წესები („წესები“) ციხეებისა და არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებებთან დაკავშირებით.

წესების 78-ე (1) მუხლის თანახმად, ციხის მართვა და პატიმართა ზედამხედველობა შედის ციხის მმართველის უფლებამოსილებებში. ოფიცრები ექვემდებარებიან ციხის მმართველს და წარმართავენ ციხის მართავასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საქმიანობას (მუხლი 3).

წესების მეცხრე თავი არეგულირებს უსაფრთხოებას და კონტროლს. კერძოდ, 80-ე მუხლის თანახმად, ციხის მმართველს შეუძლია გამოსცეს წერილობითი ბრძანება პატიმრის სხვა პატირმებისგან განცალკევების შესახებ, როდესაც ეს აუცილებელია ციხეში წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნებისთვის. ასევე, ეს განპირობებული უნდა იყო ამ პატიმრის ინტერესის დასაცავად და სხვა პატიმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ბრაძნება შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ასევე, კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებული. ზოგადი ბრძანების შემთხვევაში, იგი არ უნდა მოქმედებდეს 72 საათზე მეტ ხანს, თუ არ არის დადასტურებული სახელმწიფო მდივნის მიერ. როდესაც ბრაძნება უკავშირდება კონკრეტულ ქმედებას მაშინ, ის არ შეიძლება მოქმედებდეს 72 საათზე მეტ ხანს, მაგრამ ციხის მმართველს კვლავ შეუძლია ასეთი ბრძანების გამოცემა. ბრძანებები ყოველკვირეულად გადაიხედება.

83-ე მუხლის თანახმად, ციხის მმართველს შეუძლია ბრძანება გამოსცეს პატიმრის დასაკავებლად ქამრის გამოყენებაზე, როდესაც არსებობს საშიშორება, რომ იგი დააზიანებს სხვა პატიმარს ან თავის თავს; არსებობს სასიშორება იმისა, რომ იგი დააზიანებს ან აზიანებს საკუთრებას; არსებობს საშიშროება, რომ იგი

დაარღვევს ან არღვევს წესრიგს. ქამრის გამოყენების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს სამედიცინო ოფიცერი. თუკი ის ქამრის გამოყენებას არ ეთანხმება მაშინ, ქამრის გამოყენება არ შეიძლება.

85-ე მუხლის თანახმად, ციხის მმართველს შეუძლია ბრძანება გამოსცეს პატიმრის სპეციალურ საკანში დროებითი მოთავსების შესახებ, როდესაც ეს უკანასკნელი მონაწილეობს ციხის ბუნტში ან ავლენს ძალადობას. ამის შესახებ უნდა ეცნობოს სამედიცინო ოფიცერს და პატიმარი სპეციალურ საკანში უნდა მოინახულონ ყოველ 15 წუთში. სპეციალური საკანი განსხვავდება ჩვეულებრივი საკნისგან, რადგან მას აქვს ზედამხედველობის სპეციალური შესაძლებლობები.

წესების მე-10 ნაწილი არეგულირებს დისციპლინის დარღვევას. 94-ე მუხლი განიმარტება მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც ჩამოთვლის სხვადასხვა ქმედებას, და მოიცავს: ოფიცრის უპატივცემულობის, მუქარის, სალანძღავი ან შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებას ან ასეთ ქმედებას, კანონიერ ბრძანებაზე უარის თქმას ან სხვა რეგულაციასა და წესზე უარის თქმას. 95-ე მუხლი ადგენს, რომ დისციპლინის ყველა მოსალოდნელი დარღვევის შესახებ ოფიცერმა უნდა შეატყობინოს ციხის მმართველს, რომელიც შემდგომ გამოსცემს ბრძანებას ამ პატიმრის განცალკევებით მოთავსებასთან დაკავშირებით. ასეთი განცალკევება გამოიყენება გამონაკლის შემთხვევებში და არ უნდა გაგრძელდეს 72 საათზე მეტ ხანს. 96-ე მუხლი ადგენს, რომ დისციპლინის დარღვევისთვის გათვალისწინებული ბრალდება განსაზღვრული უნდა იყოს რაც შეიძლება მალე, 48 საათის განმავლობაში. პატიმარს წერილობით უნდა ეცნობოს ბრალდების შესახებ, დაკითხვამდე არაუგვიანეს 2 საათისა. 96-ე მუხლი დამატებით ადგენს, რომ ციხის მმართველი უნდა ესწრებოდეს დაკითხვას. პატიმარს ბრალდების შესახებ ყველა დეტალი უნდა ეცნობოს. მას საშუალება უნდა მიეცეს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას, გამოიძახოს თავისი მოწმეები და მიეცეს ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. გამონაკლის შემთხვევებში, ციხის მმართველმა პატიმარს შეიძლება უფლება მისცეს წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ. მე-100 მუხლი განსაზღვრავს სასჯელს, გაფრთხილებას, გამონაკლის შემთხვევებში, პრივილეგიებსა და გათავისუფლების თარიღის შეცვლას. მე-11 ნაწილის 111-ე მუხლის ადგენს, რომ ასეთ შემთხვევებში ბრალდებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო მდივანთან.

<u>პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი გასაჩივრების პროცედურა</u>

წესების მე-11 ნაწილი შეეხება მოთხოვნებსა და საჩივრებს.

102-ე მუხლის თანახმად, პატიმარს შეიძლება სთხოვონ გასაუბრება სახელმწიფო მდივნის ოფიცერთან, მნახველთა კომიტეტის წევრთან, შერიფთან ან მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელიც ეწვია ციხეს. 103-ე მუხლი ადგენს, რომ პატიმარს, რომელსაც სურვილი აქვს საჩივრით მიმართოს მნახველთა კომიტეტს უნდა მიეცეს ფურცელი და მისი წერილი დაყოვნების გარეშე უნდა გადაეცეს კომიტეტს.

104-ე და 109-ე მუხლები ადგენს იმ სისტემას, რომლის მიხედვითაც პატიმრის საჩივარი განიხილება. პატიმარი თავდაპირველად მიმართავს

ადგილობრივ ოფიცერს, შემდეგ ადგილობრივი ერთეულის მმართველს, შემდეგ შიდა კომიტეტეს, რომელიც საჩივრებს განიხილავს, ამის შემდეგ - ციხის მმართველს და ბოლოს სახელმწიფო მდივანს.

შოტლანდიის ციხის საჩივართა კომისარი მოქმედებს ამ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებს გარეთ და განიხილავს პატიმართა საჩივრებს.

პატიმარს, რომელმაც სავარაუდოდ, დაარღვია წესები, უფლება აქვს მოითხოვოს ციხის მმართველის ან ოფიცრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გადახედვა .

<u>ეროვნული პრეცედენტები ციხის შიგნით შეზღუდვების გამოყენებისას</u>

საქმეებში *ჰააგა პარკურსტის ციხის მმართველოს მოადგილის და სხვების წინააღმდეგ* და *ველდონი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაარმდეგ* (1991 3 AER 734) ლორდთა პალატამ პატიმართა საჩივრებთან დაკავშირებით დაადგინა, რომ პატიმართა თავისუფლება უკანონოდ შეიზღუდა ციხის შიგნით გამოყენებული ზომების შედეგად:

„იგი კანონიერად ჩასვეს ციხეში და შესაბამისად, ექვემდებარება ციხის შესახებ 1952 წლის აქტს და 1964 წლის ციხის წესებს. მის ცხოვრებას ეს რეჟიმი არეგულირებს. მას არ აქვს უფლება, გააკეთოს ის, რაც უნდა და როდესაც უნდა. მის თავისუფლებას ციხის რეჟიმი არეგულირებს. ველდონის ვიწრო საკანში მოთავსება და ჰააგის განცალკევებით მოთავსება მართალია ცვლის მათ პატიმრობის პიროებებს, მაგრამ მათ არ უზღუდავს ისეთ თავისუფლებას, რაც საწყის ეტაპზე დაპატიმრებით უკვე შეზღუდული არ აქვთ“.

საჩივრები

1. აპლიკანტები დავობდნენ, რომ ანჟელა ბოლანი დაექვემდებარა დამამცირებელ სასჯელს ან მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, როდესაც, სავარაუდოდ, უკანონოდ ჩაკეტეს და დატოვეს თავის საკანში.
2. აპლიკანტები დავობდნენ, რომ გარდაცვლილის საკანში დაკავება არსებული გარემოებების გათვალისწინებით არ იყო კანონიერი და წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას. ციხის წესების თანახმად, არ არსებობდა რაიმე საფუძველი იმისა, რომ ანჟელა ბოლანი დაეტოვებინათ თავის საკანში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გარდაცვლილის საკანში დატოვების მოწონებით და უკანონო დასჯის წახალისებით გამოიწვიეს ან ხელი შეუწყვეს ანჟელა ბოლანის სიკვდილს.
3. აპლიკანტები დავობდნენ, რომ გარდაცვლილის მიმართ გამოყენებული შეზღუდვები იყო უკანონო და არღვევდა მისი მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლებას და ამდენად, წარმოადგენდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.

სამართალი

1. აპლიკანტები დავობდნენ, რომ ანჟელა ბოლანის დატოვება თავის საკანში წარმოადგენდა დამამცირებელ სასჯელს ან მოპყრობას და ეწინაარმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც ადგენს:

"არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან არაადამინურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს."

მთავრობა ამტკიცებდა, რომ კორნტონ ვალის ციხეში არსებული პირობები არ იყო მკაცრი. ეს პირობები არ აღწევდა იმ ზღვარს, რომ მიჩნეულიყო არაადამიანურად და დამამცირებლად. იგი თავის საკანში დატოვეს ერთი საათით და ორმოცდაათი წუთით. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ამ დროს არსებობდა მის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის რისკი ან თავის საკანში დატოვებამ მას უბიძგა თვითმკვლელობისკენ.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ანჟელა ბოლანის მიმართ ადგილი ჰქონდა დამამცირებელ მოპყრობას, რაც გამოიხატებოდა ჰეროინის ყოფილი მომხმარებელი და კრიმინალური წარსულის არმქონე 19 წლის გოგონას მიმართ ამგვარად მოქცევაში. იგი უსაფუძვლოდ და უსამართლოდ დასაჯეს, წესების დარღვევით, რაც წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას.

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობა უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რომ მოხვდეს მე-3 მუხლის ფარგლებში. ამ მინიმალური ზღვრის განსაზღვრა შეფარდებითია: იგი დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (იხ. *ტეკინი თუქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისის განჩინება, ანგარიშები 1998-IV, § 52). უფრო მეტიც, იმისათვის, რომ განისაზღვროს, ჰქონდა თუ არა ადგილი დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, სასამართლო მხედველობაში მიიღებს მიზანს, კერძოდ, ისახავდა თუ არა ასეთი მოპყრობა პირის შეურაცხყოფის და დამცირების მიზანს და გამოიწვია თუ არა ისეთი შედეგი, ან იმოქმედა თუ არა პიროვნებაზე ისე, რომ ამით დაირღვა მე-3 მუხლი (იხ. *რანინენი ფინეთის წინააღმდეგ,* 1997 წლის 16 დეკემბრის განჩინება, ანგარიშები 1997-VIII, § 55).

წარმოდგენილ საქმში, ციხის ოფიცერმა ანჟელა ბოლანს უთხრა, რომ იგი დარჩებოდა საკანში და არ წავიდოდა სხვა პატიმრებთან ერთად სადილზე. ეს იყო პასუხი მის ქმედებებზე, რაც გამოიხატა საკნის კარზე ფეხის დარტყმაში. იგი საკანში დატოვეს 11:10 საათიდან 12:50 საათამდე და როდესაც იპოვეს, აღმოჩნდა, რომ თავი მოეკლა. მიუხედავად ამისა, მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ არ არსებობდა საფუძველი იმისა, რომ იგი თვითმკვლელობას ჩაიდენდა. ასევე, მტკიცებულება მიუთითებდა, რომ ანჟელა ბოლანის მიერ იმ დილით წამლის მიუღებლობას გავლენა არ მოუხდენია მის გონებრივ მდგომარეობაზე. დაკითხვის დროს დისკუსია და ეჭვი გამოიწვია ოფიცრის განზრახვამ. კერძოდ, ანჟელა საკანში ჩვეულებრივზე მეტი ხნით დატოვებით განიზრახა თუ არა ოფიცერმა ბოლანის დასჯა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენდა ამ უკანასკნელის

უფლებამოსილებას; წარმოადგენდა თუ არა ეს ე.წ. დამშვიდების ზომას, რომლის გამოყენების უფლებაც ოფიცერს ჰქონდა.

იმის მიუხედავად, ისახავდა თუ არა მიზნად საკანში დატოვება პატიმრის დასჯას, სასამართლო ადგენს, რომ იგი არ აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სისატიკის მინიმალურ ზღვარს. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ საკანში დატოვების მოკლე პერიოდი, ის ფაქტი, რომ ანჟელა ბოლანი საკუთარ საკანში დატოვეს და არ არსებობდა რაიმე მინიშნება, ფიზიკურ თუ გონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ისეთი ჩვენებები, რომელსაც ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ვარაუდობდნენ, ან უნდა ევარაუდათ, რომ ანჟელა ბოლანის მიმართ ნებისმიერი მკაცრი ან სასტიკი ზომების გამოყენების შედეგად იგი განიცდიდა ტანჯვას.

სასამართლო ადგენს, რომ საჩივარი დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს, რადგანაც იგი აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის თანახმად.

2. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ ანჟელა ბოლანის თავის საკანში დატოვება წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, რომელიც ადგენს:

”1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ესენია:

ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად; ...“

მთავრობა ამტკიცებს, რომ ანჟელა ბოლანი კანონიერად იმყოფებოდა ციხეში სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ციხის ოფიცერს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ შეეცვალა ასეთი თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები. ოფიცრის გადაწყვეტილება, სადილის დროს ანჟელა ბოლანის საკანში დატოვების შესახებ, ციხის მუშაობის ჩვეულებრივ რეჟიმში ჯდება. ამ შემთხვევაში, ოფიცრები არ მოქმედებედნენ უკანონოდ. ისინი მოქმედებდნენ ციხის მმართველის უფლებამოსილების ფაგლებში და ახორციელებდნენ კონტროლს და ზედამხედველობას ციხეში მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებზე. ისინი წყვეტენ იმ დროებით ინციდენტებს, რომლებიც არ საჭიროებს დისციპლინარული ზომების მიღებას. ამ შემთხვევაში, ციხის ოფიცერთა მოქმედებით შეიზღუდა გადაადგილების თავისუფლება და არა ზოგადად თავისუფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, თავის საკანში უკანონო დატოვების შესახებ განმცხადებლების მტკიცების განსაზღვრისათვის, მათ არ ამოუწურავთ

ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები კონვენციის 35–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

აპლიკანტები ამტკიცებდნენ, რომ მათ ამოწურეს ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. თუმცა, მათ არ გაეწიათ სამართლებრივი დახმარება და მათ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი აღარ გაგრძელებულა. ხოლო, რაც შეეხება მათ სარჩელს, ისინი დავობდნენ ციხის ოფიცრის მიერ „დამშვიდების“ ზომის გამოყენებაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ ასეთი ზომის გამოყენება მიზნად ისახავდა ანჟელა ბოლანის დასჯას. ასეთი სასჯელი კი ციხის წესებით გათავლისწინებული არ იყო პირიქით, იგი უზრუნველყოფდა გარკვეულ პროცედურულ ნაბიჯებს. ანჟელა ბოლანის კარგი ქცევისა და მისგან საფრთხის არ არსებობის გათვალისწინებით უსაფუძვლო და უსამართლო იყო ასეთი ბრძანების მიღება იმის გამო, რომ იგი კარს ფეხს ურტყამდა. მაშინ, როცა ანჟელა ბოლანის თავდაპირველი დაკავება იყო კანონიერი კონვენციის მე–5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდგომი თავისუფლების შეზღუდვა, უკანონოდ მისი საკანში ჩაკეტვით, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე და სრულიად თვითნებური ფორმით არ არის გამართლებული კონვენციის მე–5 მუხლის პორველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე.

ქვემოთ წარმოდგენილი მიზეზების გამო, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ იმის განსაზღვრას, ამოწურა თუ არა განმცხადებელმა ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები კონვენციის 35–ე მუხლის პორველი ნაწილის შესაბამისად.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ იმისათვის, რომ დაკავება შეესაბამებოდეს კონვენციის მე–5 მუხლის პირველ ნაწილს იგი უნდა განხორციელდეს „კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად“ და უნდა იყოს „კანონიერი“. ამ შემთხვევაში, კონვენცია მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და წარმოშობს ვალდებულაბას თავისუფლების შეზღუდვისას ამ კანონის შესაბამისად მოქმედებასთან დაკავშირებით. იგი დამატებით მიუთითებს კონვენციის მე–5 მუხლის მიზნის შესაბამისად მოქმედებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ეს შეეხება პირის დაცვას თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისგან (იხ. *ვინტერვერპი ნიდერლანდის წინააღმდეგ,* 1979 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, სერია A N 33, §§ 39 და 45, *აერტსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 30 ივლისის განჩინება, ანგარიშები 1998-V, § 46). უფრო მეტიც, გარკვეული კავშირი არსებობს თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებსა და დაკავების დროს არსებულ პირობებს შორის (იხ. *ამინგდანე გაერთიანებული სამეფის წინააღმდეგ*, 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, სერია ა N93, § 44).

მოცემულ საქმეში უდავოა, რომ ანჟელა ბოლანი კანონიერად დააკავეს კორტონ ვალის ციხეში, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საბოლოო განაჩენის დადგომამდე. უდავოა რომ ციხე განკუთვნილი იყო ასეთი დაკავებისთვის და ციხეში არსებული პირობების გათვალისწინებით, დაკავების ადგილი არ იყო შეუსაბამო. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საკითხი არის წარმოადგენდა თუ არა ციხის ოფიცრის გადაწყვეტილება, ანჟელა ბოლანის საკანში დატოვების შესახებ ორ საათზე ნაკლები ხნით, უსამართლო და უკანონო თავისუფლების შეზღუდვას ციხის შიგნით.

სასამართლო არ გამორიცხავს, რომ გამონაკლის შემთხვევებში ასეთი ზომის მიღება ციხეში შეიძლება არღვევდეს თავისუფლების უფლებას. თუმცა, ზოგადად ციხეში მიღებული ფორმალური თუ არაფორმალური ზომები, რომლებიც გავლენას ახდენს დაკავების პირობებზე არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას. ჩვეულებრივ პირობებში ასეთი ზომის მიღება განიხილება, როგორც კანონიერი დაკავების პიროებების ცვლილება და არ ხვდება კონვენციის მე–5 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების ფარგლებში (იხ. განაცხადი N7754/77, dec. 9.5.77, D.R. 11, გვ. 216). ასეთ შემთხვევებში, შეიძლება საკითხი წარმოიშვას კონვენციის მე–3 და მე–8 მუხლებთან დაკავშირებით.

მოცემულ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების და გამოყენებული ზომის ტიპის, ხანგრძლივობის და მანერის გათვალისწინებით სასამართლო ადგენს, რომ ანჟელა ბოლანის დატოვება თავის საკანში, 11.10 საათიდან 12.50 საათამდე, წარმოადგენდა დაკავების ჩვეულებრივი პირობების ცვლილებას. ასეთი ცვლილება თავისი ხარისხითა და ბუნებით არ წარმოადგენდა თავისუფლების შეზღუდვას.

სასამართლო ადგენს, რომ განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35–ე მუხლის მე–3 და მე–4 ნაწილის შესაბამისად.

3. აპლიკანტები დავობდნენ, რომ ანჟელა ბოლანს შეეზღუდა გაერთიანების თავისუფლება კონვენციის მე–11 მუხლის დარღვევით, რომელიც ადგენს:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.
2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.“

სასამართლო მიიჩნევს, რომ მე–11 მუხლი არ გამოიყენება ციხეებთან დაკავშირებით იმ კონტექსტში, რომ მან წარმოშვას პატიმრების უფლება, გაერთიანდნენ სხვა პატიმრებთან ნებისმიერ დროს ან ნებისმიერ ადგილას (იხ. *მაკფილი გაერთიანებული სამეფოს წინააღდეგ*, N8317/78, dec. 15.5.1980, D.R. 20, გვ. 44, გვ. 98). შესაბამისად, სასამართლო ამ საჩივარს კონვენციის 35–ე მუხლის მე–3 და მე–4 პარაგრაფებთან *ratione materiae* შეუსაბამობის გამო.

ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო ერთხმად,

დაუშვებლად აცხადებს განაცხადს.

ს. დოლე რეგისტრატორი	ჟ.პ. კოსტა პრეზიდენტი